ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13261356**

თარიღი:**15/05/2026**

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების

მიმოხილვისა და შეფასების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი'' საქართველოს კანონის 85-ე მუხლის შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება, წარმოდგენილი სახით, შეფასებულ იქნას დადებითად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში

I თავი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2026 წლის 3 თვე გეგმა			2026 წლის 3 თვე ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	**9 509,5**	**8 594,5**	**915,0**	**8 503,4**	**7 654,8**	**848,6**
გადასახადები	7 042,0	7 042,0	-	6 223,4	6 223,4	-
გრანტები	999,5	84,5	915,0	927,2	78,6	848,6
სხვა შემოსავლები	1 468,0	1 468,0	-	1 352,8	1 352,8	-
II. ხარჯები	**8 413,6**	**8 265,0**	**148,6**	**7 408,6**	**7 281,3**	**127,2**
შრომის ანაზღაურება	1 367,6	1 367,6		1 280,9	1 280,9	-
საქონელი და მომსახურება	967,9	829,3	138,6	838,8	711,6	127,2
პროცენტი	5,0	5,0	-	0,0	0,0	-
სუბსიდიები	4 914,6	4 914,6		4 375,2	4 375,2	-
გრანტები	93,0	93,0	-	83,8	83,8	-
სოციალური უზრუნველყოფა	477,2	477,2	-	439,6	439,6	-
სხვა ხარჯები	**588,3**	578,3	10,0	**390,4**	390,4	
III. საოპერაციო სალდო	**1 095,9**	**329,5**	**766,4**	**1 094,8**	**373,5**	**721,4**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**2 042,8**	**976,9**	**1 065,9**	**1 826,0**	**1 030,4**	**795,6**
ზრდა	**2 080,8**	1 014,9	1 065,9	**1 854,1**	1 058,6	795,6
კლება	**38,0**	38,0		**28,1**	28,1	
V. მთლიანი სალდო	**-946,9**	**-647,4**	**- 299,5**	**-731,2**	**-657,0**	**-74,2**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-946,9**	**-647,4**	**- 299,5**	**-731,2**	**-657,0**	**-74,2**
ზრდა			-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები				-		
კლება	**946,9**	**946,9**	**299,5**	**731,2**	**657,0**	**74,2**
ვალუტა და დეპოზიტები	**946,9**	**946,9**	**299,5**	**731,2**	**657,0**	**74,2**
VII. ვალდებულებების ცვლილება			-	-	-	-
კლება			-	-	-	-
საშინაო			-	-	-	-
სესხები				-	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები				-	-	-
VIII. ბალანსი	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

დასახელება	2026 წლის 3 თვე გეგმა			2026 წლის 3 თვე ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	**9 547,5**	**8 632,5**	**915,0**	**8 531,5**	**7 682,9**	**848,6**	**90**	**89**	**93**
შემოსავლები	9 509,5	8 594,5	915,0	8 503,4	7 654,8	848,6	**90**	**89**	**93**
არაფინანსური აქტივების კლება	38,0	38,0		28,1	28,1		**74**	**74**	
გადასახდელები	**10 494,4**	**9 279,9**	**1 214,5**	**9 262,7**	**8 339,9**	**922,8**	**89**	**90**	**76**
ხარჯები	8 413,6	8 265,0	148,6	7 408,6	7 281,3	127,2	**88**	**88**	**86**
არაფინანსური აქტივების ზრდა	2 080,8	1 078,9	1 065,9	1 854,1	1 058,6	795,6	**90**	**90**	**83**
ვალდებულებების კლება									
ნაშთის ცვლილება	**-946,9**	**-647,4**	**-299,5**	**-731,2**	**-657,4**	**-74,2**			

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	**7 000,0**	**6 830,4**	**98**
ქონების გადასახადი	**42,0**	**0,0**	
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	-607,0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6,0	5,0	**84**
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	10,0	7,0	**70**
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	25,0	5,0	**20**
გადასახადები სულ	**7 042,0**	**6 223,4**	**89**

ბ) გრანტები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლა	80,0	78,6	**99**
კაპიტალური ტრანსფერი			
სპეციალური ტრანსფერი	4,5	0,0	
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	535,0	514,2	**97**
სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	150,0	106,7	**72**
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	230,0	227,7	**99**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	
გრანტები სულ	**999,5**	**927,2**	**93**

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შემოსავლები საკუთრებიდან	**595,0**	**556,9**	94
პროცენტები	350,0	331,3	95
რენტა	245,0	225,7	93
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**173,0**	**151,4**	88
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	165,0	141,7	86
სანებართვო მოსაკრებელი	35,0	24,0	69
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე			

სათამაშო ბიზნესისი მოსაკრებელი	40,0	30,0	75
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	90,0	87,7	98
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8,0	9,7	122
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**600,0**	**550,4**	92
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**100,0**	**94,1**	95
სხვა შემოსავლები სულ	**1 468,0**	**1 352,8**	**93**

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	23,0	22,5	98
მატერიალური მარაგები	5,0	0,2	1
არაწარმოებული აქტივები	10,0	5,4	54
მიწა	10,0	5,4	54
არაფინანსური აქტივების კლება	**38,0**	**28,1**	**74**

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	1 367,6	1 280,9	94
საქონელი და მომსახურება	967,9	838,8	87
პროცენტები	5,0	0,0	-
სუბსიდიები	4 914,6	4 375,2	89
გრანტები	93,0	83,8	91
სოციალური უზრუნველყოფა	477,2	439,6	93
სხვა ხარჯები	588,3	390,4	67
ხარჯები სულ	**8 413,6**	**7 408,6**	**88**

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2 080,5**	**1 854,1**	**90**

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	29,0	9,6	34
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	948,2	861,3	91
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	8,0	0,0	-

04 00	განათლება	407,6	355,8	88
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	688,0	627,4	92
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 6 879,8 ათასი ლარის ოდენობით

(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივების ზრდა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტიური შესრულება
	0.0	0.0
ვალუტა დეპოზიტები	0.0	0.0

ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 530,0 ათასი ლარი

(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივების კლება	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტიური შესრულება
	946,9	731,2
ვალუტა დეპოზიტები	946,9	731,2

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	პროცენტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 224,9	1 853,7	84

7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 224,9	1 853,7	84
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 060,5	1 853,7	90
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები			
7.2	**თავდაცვა**			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა			
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**1 979,5**	**1 793,1**	91
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	174,4	157,0	90
7.4 2 1	სოფლის მეურნეობა	174,4	157,0	90
7.4 5	ტრანსპორტი	1 249,1	1 129,1	91
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 249,1	1 129,1	91
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	556,0	506,9	92
7.5	**გარემოს დაცვა**	**891,1**	**778,8**	88
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	891,1	778,8	88
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**261,2**	**237,3**	91
7.6 3	წყალმომარაგება	59,1	54,1	92
7.6 4	გარე განათება	202,1	183,3	91
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში			
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება			
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**1 767,1**	**1 579,9**	90
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 082,1	955,1	89
7.8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში	685,0	624,8	92
7.9	**განათლება**	**2 784,2**	**2 485,9**	90
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1 900,2	1 688,2	89
7.9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	884,1	797,7	91
7 10	**სოციალური დაცვა**	**586,3**	**534,0**	91
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	411,3	379,0	93
7 10 11	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	353,3	326,7	93
7 10 12	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	58,0	52,4	91
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	11,0	10,5	96
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	138,0	119,7	87
	სულ	**10 494,4**	**9 262,7**	89

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 9 262,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 494,4) 89 პროცენტია.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სრტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2026 წლის 3 თვე ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	9 262,7	89
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	1 853,7	83
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2 030,4	91
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	778,8	88
04 00	განათლება	2 130,1	89
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 935,7	90
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	534,0	92

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო პერიოდში მართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 1 853,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2 234,9 ათასი ლარი) 83 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 484,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 1 369,5 ათასი ლარი,

2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-200,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 35,5 ათასი ლარი. მათ შორის:

N	ორგან.კოდი	ბრძანების ნომერი	ხარჯის დანიშნულება	თანხა
1	05 01 01	N ბ12 12260414 05.03.2026	საბა მოდებაძის 2026 წლის 11-15 მარტს ლიეტუვის რესპუბლიკაში, ქალაქ ვილნიუსში გასამართ ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში (ატე იტის ტასი) მონაწილეობის დაფინანსებისთვის	**1061**
2	06 02 01	ბ12 12260164 16.01.2026	ფანია იგითხანიშვილისთვის თავისი დის - მანანა იგითხანიშვილის დაკრძალვისა და სარიტუალო პროცედურების დაფინანსებისთვის	**1000**
3	06 02 06	ბ12 122604859 17.02.2026	დავით ცერცვაძისთვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად	**300**
4	06 02 06	ბ12 122602917 29.01.2026	ჟულიეტა ივანიძისთვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად	**200**
5	06 02 06	ბ12 122607818 19.03.2026	მანუჩარ ივანიძის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად	**150**
6	06 02 06	ბ12 122603627 05.02.2026	ნაზი თათოშვილისთვის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის	**500**
7	06 02 06	ბ12 122607910 20.03.2026	ლალი ნებაძის ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად	**150**
8	06 02 11	ბ12 122608310 24.03.2026	დამიანე გელაშვილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1758**
9	06 02 11	ბ12 122608312 24.03.2026	სილვა კოჯოიანის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1000**
10	06 02 11	ბ12 122608311 24.03.2026	მიხეილ მელიქიძისთვის ყურის სასმენი აპარატის შეძენის დაფინანსება	**1200**
11	06 02 11	ბ12 12260797 20.03.2026	ემზარი იაძისთვის ყურის სასმენი აპარატის შეძენის დაფინანსება	**900**
12	06 02 11	ბ12 12260799 20.03.2026	ლია ლომიძის სამედიცინო/სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსება	**2180**
13	06 02 11	ბ12 12260798 20.03.2026	ნინო ჯაფარიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**725**
14	06 02 11	ბ12 12260755 16.03.2026	გიორგი კაპანაძის სამედიცინო/სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსება	**4350**
15	06 02 11	ბ12 12260719 12.03.2026	ლელა ივანიძის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	**1300**
16	06 02 11	ბ12 122607110 12.03.2026	გიორგი ლომიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**900**
17	06 02 11	ბ12 12260718 12.03.2026	დირმანდი ცუცქირიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1500**
18	06 02 11	ბ12 12260717 12.03.2026	მარია კირაკოსიანის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1500**
19	06 02 11	ბ12 122607111 12.03.2026	ნუნუ გაჩეჩილაძის მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	**783,42**
20	06 02 11	ბ12 12260612 05.03.2026	ნოდარ კურტანიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**276,14**
21	06 02 06	ბ12 122606413 05.03.2026	ტრისტანი ბარძიმაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**210**
22	06 02 06	ბ12 122605717 26.02.2026	დავით და დემეტრე დიასამიძეებისთვის საზღვარგარეთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**3000**

23	06 02 06	B12 1226050001 19.02.2026	ნატალია ქიმერიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1003**
24	06 02 06	B12 12260502 19.02.2026	ლარისა მოდებაძისთვის სამედიცინო მომსახურების ჩასატარებლად საჭირო პროტეზის დაფინანსებისთვის	**2500**
25	06 02 06	B12 1226043001 12.02.2026	ლაშა აბრამიშვილისთვის საზღვარგარეთ ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**3300**
26	06 02 06	B12 122603615 05.02.2026	დავით კურტანიძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**2205**
27	06 02 06	B12 122502756 27.01.2026	მარია და ანი ხაჩატურიანების ჩატარებულისამედიცინო მომსახურების შედეგად დარჩენილი დავალიანების დასაფინანსებლად	**300,42**
28	06 02 06	B12 122602913 29.01.2026	ნინო კაპანაძის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	**1300**

ადმინისტრაციული შენობების დაცვის მომსახურებამ შეადგინა - 60,0 ათასი ლარი.

2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2 030,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 91 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**2 240,7**	**2 030,4**	**91**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	706,9	646,7	92
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	37,0	34,3	93
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	669,9	612,3	92
02 01 03	ნაპირსამაგრი სამუშაოები	0,0	0,0	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	233,5	211,1	91
02 02 03	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	59,1	54,1	92

02 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება	174,4	157,0	90
02 03	გარე განათება	202,1	183,3	91
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	202,1	183,3	91
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	0,0	0,0	-
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	542,2	482,4	89
02 04 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი	542,2	482,4	89
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	0,0	0,0	-
02 07	კეთილმოწყობა	476,1	438,2	92
02 07 01	საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	191,1	173,4	91
02 07 02	შენობების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია	225,1	208,7	93
02 07 03	პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	57,0	54,0	95
02 07 04	სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა	2,3	2,0	87
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	79,9	68,8	87
02 08 01	ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი	79,9	68,8	87

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვ.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

ა) ა. გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

ვიდეოკამერების მომსახურება
გზების პერიოდული შეკეთება და სხვ.

ა) ბ. ახალი გზების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 01 02)

მუსხის ხიდის რეაბილიტაცია;
ხეოთის გზის და ქუჩების რეაბილიტაცია;
სოფელ ურაველში საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;
სოფელ ივლიტაში და სოფელ სხვილისში ხიდების რეაბილიტაცია;
სოფელ აწყურში სანიაღვრე არხის მოწყობა და სხვ.

ა) გ. ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 02 01 03)

ბ. წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია და სხვ,

ბ) ა. წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქალაქ ახალციხეში რუსთაველის ქუჩის N91ბ-ს მიმდებარედ ე.წ. მლაშიხევის სანიაღვრე არხის მოწყობა;
ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების - ზიკილიის და საყუნეთის სანიაღვრე არხების მოწყობა.

ბ) ბ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება (პროგრამული კოდი 0 20 204)

შუალედური შედეგი

- საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
- სანიაღვრე არხების რეაბილიტაციამ გააუმჯობესა სანიაღვრე არხებში წყალგამტარიანობა

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

გ) ა. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულების დაფარვა.

გ) ბ. გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა

შუალედური შედეგი

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

დ) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

დ) ა. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ,,ახალციხის მუნიციპალური ტრანსპორტი“, რომელიც ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოქალაქეთა მომსახურებას. ორგანიზაციის ავტოპარკი შედგება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტისთვის შეძენილი 18 ერთეული ავტობუსისგან. ტრანსპორტის ბაზა-ავტოსადგომი მდებარეობს ქალაქ ახალციხის მიმდებარედ.

დ) ბ. მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება (პროგრამული კოდი 02 04 02)

ე) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

მიმდინარე წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ქალაქ ახალციხეში და ქალაქ ვალეში განხორციელდა კეთილმოწყობის შემდეგი ღონისძიებები:

ე) ა. საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 02 07 01)

გზებისა და ნაპირსამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
წყლის სისტემების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
საკანალიზაციო სისტემების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სხვ.

ე) ბ. შენობების ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 07 02)

ქალაქ ახალციხეში ხანძთელის ქუჩის N32-ში არსებული კორპუსის რეაბილიტაცია;
ქალაქ ვალეში რუსთაველის ქუჩის N41-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული კორპუსის რეაბილიტაცია.

ე) გ. პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 07 03)

ქალაქ ახალციხეში თაყაიშვილის ქუჩის N90-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა;

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი პარკებისა და სკვერების მოწყობა და არსებული პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია და სხვ.

ე) დ. სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 02 07 04)

სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები: შიდა გზების რეაბილიტაცია, სპორტული ტრენაჟორების მოწყობა, გარე განათების ქსელის მოწყობა, სარწყავის სისტემის არხის რეაბილიტაცია და სხვ.

ვ) სარიტუალო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 08)

ვ) ა. ა(ა)იპ ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი (პროგრამული კოდი 02 08 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე არსებულ 7 სასაფლაოზე გასასვლელების, სავალი გზების მოწყობა, გამწვანება, შემოღობვა, კეთილმოწყობა, საფლავების მოვლა-პატრონობა და სხვ.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 778,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 88 პროცენტია. აღნიშნული თანხით დაფინანსდა ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**886,1**	**778,8**	**88**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0,0	0,0	0

03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	886,1	778,8	88

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის დასუფთავება, მოვლა-პატრონობა, რაც თავის მხრივ მოიცავს მუნიციპალიტეტის ქალაქების, სოფლების, ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ასევე პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზებისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოების უზრუნველყოფა. ისეთი ხარჯები, როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 12 ნაგავმზიდი სატრანსპორტო საშუალება. ქუჩების გადასარეცხად და მწვანე ნარგავების მოსარწყავად, ქუჩების გასაწმენდად და მტვრის ასაღებად ორგანიზაცია იყენებს სპეციალიზირებულ სატრანსპორტო საშუალებებს.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2026 წლის იანვარ-მარტის განმავლობაში დაფინანსდა 2 130,1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2 391,1 ათასი ლარის 89 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1 647,0 ათასი ლარი, ხოლო განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობას მოხმარდა 483,1 ათასი ლარი, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა დაფინანსდა 41,2 ათასი ლარით, ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა კი 441,8 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
04 00	განათლება	**2 391,1**	**2 130,1**	**89**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1 854,9	1 647,0	89
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	1 854,9	1 647,0	89
04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	536,2	483,1	90
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	45,3	41,2	91
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	491,0	441,8	90
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	0	0	0

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 24 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებაში რეგისტრირებულია 1 536 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯი დღეში საშუალოდ 5,75 ლარს შეადგენს.

ყველა საბავშო ბაღში, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით სამზარეულოები გადავიდა ელექტროქურებით სარგებლობაზე.

შუალედური შედეგი

• საბავშვო ბაგა-ბაღები სტანდარტის შესაბამისი პირობებითაა უზრუნველყოფილი,

ბ) განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

2026 წელს განხორციელდა ქალაქ ახალციხის N5 საბავშო ბაგა-ბაღის ეზოს და ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, იაძის ქუჩაზე N 12-ში მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები, ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩის N5-ში და ივერიელის ქუჩის N6-ში საბავშო ბაღების გათბობის სისტემის მოწყობა.

ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რტანსპორტირებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით 2026 წლის პირველ კვარტალში 813-მა მოსწავლემ ისარგებლა.

გ) ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს (პროგრამული კოდი 04 03)

შუალედური შედეგი

მოზარდთა და სტუდენტთა შემოქმედებითი - საგანმანათლებლო დონის და მოტივაციის ამაღლება.

5) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურულ, ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 1 935,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 160,2 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 90 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის სფეროს განვითარებას მოხმარდა 1 324,2 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებას - 534,1 ათასი ლარი, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობას - 31,9 ათასი ლარი და თეატრებს 25,0 ათასი ლარი, ხოლო ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია დაფინანსდა 20,6 ათასი ლარით.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2 160,2**	**1 935,7**	**90**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 482,2	1 324,2	90
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	311,2	278,4	90
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	583,8	529,5	91
05 01 05	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	587,3	516,3	88
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	596,0	534,1	90
05 02 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	214.1	189,6	89
05 02 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	201,6	178,9	89
05 02 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	73,2	65,1	89
05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	5,9	5,2	89

05 02 08	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	101,2	95,3	95
05 02 09	კულტუტული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0,0	0,0	0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	33,4	31,9	96
05 03 01	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	33,4	31,9	96
05 04	თეატრები	28,0	25,0	90
05 05	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	20,6	20,6	100

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს 2026 წელს პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები.

ა) სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს სპორული ღონისძიებების ჩატარებას სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ჩატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა იღებენ სპორტით დაინტერესებული ახალგაზრდები.

ა) ა. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2025-2026“-ის ფარგლებში სპორტული ფორმების შესყიდვა, 4 878 ლარი;
კალათბურთის გულშემატკივრების კვებით უზრუნველყოფა, (6 თამაში) 1691 ლარი;
საკალათბურთო კლუბ ,,ახალციხე“-ს თამაშების მხარდასაჭერად ბანერისა და მაისურების შეძენა, 1080 ლარი;
წარმატებული სპორტსმენებისთვის გაცემული ფულადი დახმარება, 10960 ლარი;

ა) ბ. სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩის N44-ში სპორტული კომპლექსისი რეკონსტრუქცია;
სოფელ კლდეში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

ა) გ. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 05)

სპორტული გაერთიანება მოიცავს 9 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი (სპორტული გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი ,,სამცხე“), ჭიდაობისა და ძიუდოს კლუბი, მძლეოსნობის კლუბი, რაგბის კლუბი, ჭადრაკის კლუბი, კალათბურთის კლუბი, კრივის კლუბი, ორთაბრძოლის კლუბი, ფიტნეს კლუბი. სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 551 მოზარდი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ.

ბ) კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

ბ) ა. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა- მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი და ფოლკლორული ანსამბლი - ,,მესხეთი“.

კულტურის სახლებსა და ახალგაზრდულ ცენტრებში მოქმედებს სხვადასხვა წრეები: ქართული ცეკვის, სამეჯლისო და ფოლკლორული. ბავშვთა მუსიკალური წრეები. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 180 აღსაზრდელი.

